№ 29

ოთხშაბათი, 19 თებერვალი 1897 წ.

1877 – 1897

# ივერია

№ 29

ოთხშაბათი, 19 თებერვალი 1897 წ.

**გაზეთის ღირს:**

| თვე | მან. კ. | | თვე | მან. კ. | |
|---|---|---|---|---|---|
| 12 . . . | 10 | — | 6 . . . | 6 | — |
| 11 . . . | 9 | 50 | 5 . . . | 5 | 50 |
| 10 . . . | 8 | 75 | 4 . . . | 4 | 75 |
| 9 . . . | 8 | — | 3 . . . | 3 | 50 |
| 8 . . . | 7 | 25 | 2 . . . | 2 | 75 |
| 7 . . . | 6 | 50 | 1 . . . | 1 | 50 |

ცალკე ნომ — ერთი შაური.

„ივერიის" ტელეფონი № 227.

რედაქცია: ნიკოლოოზის ქუჩა, 21. ტფილისი.

გაზეთის დასაბარებლად და განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიმართონ რედაქციას და წერა-კითხვ. გამავრც. საზოგადოების კანცელარიას

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ 16 კაპ., მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის" ტელეფონი №227

**ნატალია იაკობის ასული ქორქაშვილისა, გრიგოლ ლუკას ძე ქორქაშვილი და მისი დანი და ძმანი** გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ უეცარსა სიკვდილსა პირველის საყვარელის ქმრისას, ხოლო უკანასკნელთა—მამისას, **ლუკა დავითის ძის ქორქაშვილისას** და სთხოვენ მობრძანდნენ ხუთშაბათს, 20 თებერვალს, ქუთაისს, განსვენებულის სადგომში, საიდგანაც გვამი მიცვალებულისა წასვენებულ იქმნება დ. ხონში. (2—6—3)

### რედაქციისაგან

იმ ხელის-მომწერთ, რომელთაც ნახევარ წლით აქვთ დაკვეთილი გაზეთი შარშანდელ წლის პირველ იანვრიდგან, გაზეთის გზავნა მოესპობათ ამ წლის პირველს მარტს, რადგან შარშან ოთხი თთვე და ჩვიდმეტი დღე მიღებული აქვთ გაზეთი და ეხლაც ერთის თთვისა და ცამეტის დღის გაზეთი პირველ მარტამდე შეუსრულდებათ. ვისაც ჰსურს პირველ მარტიდამ ამ წლის დამლევამდე მიიღოს გაზეთი, უნდა გამოგზავნოს ათის თთვის ფასი გაზეთისა 8 მან. 33 კაპ.

---

ხუთშაბათს, 20 თებერვალს,

ტფილისის კლუბის დარბაზში გამართულ იქმნება

„ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების"

სასარგებლოდ

## კონცერტი,

რომელშიაც მონაწილეობას მიიღებენ: კნ. ბ. მ. ამირეჯიბი, კნ. კ. ფ. გურამიშვილი, კნ. ს. დ. ხიმშიაშვილი, ბ. ნ. შანშიევისა, ვ. ლ. ველიჩკო, ი. გ. კარგარეთელი, ი. მ. მატკოვსკი, ი. თ. სარაჯიშვილი და თ. აკაკი წერეთელი.

კონცერტის შემდეგ გაიმართება

## საცეკვაო საღამო

ლეკურითა და კოტილიონით

ტანისამოსი: სამხედრო ჩვეულებრივი, დანარჩენთათვის ფრაკი სავალდებულო არ არის.

დაიწყება საღამოს $8^1/_2$ საათზედ.

ბილეთები ისყიდება საზოგადოების კანცელარიაში (თავად-აზნაურთა ქარვასლა, სასახლის ქუჩაზედ) და კონცერტის დღეს კლუბის შვეიცართანაც. (4—მ—2)

---

ქართული თეატრი.

ოთხშაბათს 19 თებერვალს

ქართულის დრამატიულის საზოგადოების დასის მიერ საფაროვი-აბაშიძისა, ავალიშვილისა, ალექსი-მესხიშვილისა და ყიფიანის მონაწილეობით

წარმოდგენილი იქნება

## ჰამლეტ

ტრ. 5 მოქ. შექსპირისა, თარგ. ი. მაჩაბლისა.

მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნნი საფაროვი-აბაშიძისა, ავალიშვილისა, გამყრელიძისა; ბბ. ალექსი-მესხიშვილი, ყიფიანი, სვიმონიძე, გედევანოვი, გამყრელიძე, შათირიშვილი, კანდელაკი, ადამიძე, კარბელი, საფაროვი, გვარამაძე და სხვანი.

ადგილების ფასი ჩვეულებრივია.

დასაწყისი 8 საათზედ.

რეჟისორი ვლ. ალექსი-მესხიშვილი

ადმინისტრ. კ. შათირიშვილი

---

მომავალ მარტის 9-ს დანიშნულია

ბორჩალოს თავად-აზნაურთა ჩვეულებრივი კრება

ტფილისის კეთილშობილთა დეპუტატთა კრებულის კანცელარიის სადგომში, სასახლის ქუჩაზედ, თავად-აზნაურთა სახლში.

ბორჩალოს მაზრის თავად აზნაურობის წინამძღოლი თავადი აფხაზი აუწყებს-რა ამას თავად-აზნაურობას ბორჩალოს მაზრისას, უმორჩილესად სთხოვს: წარმოადგინონ წინადვე, ვიდრე კრება შესდგებოდეს, საბუთნი თავიანთის უფლებისა, რათა ნება მიეცეთ არჩევანებში დასწრებისა და თავად-აზნაურთა საქმეების განხილვისა. ეს საბუთნი უნდა წარმოდგენილ იქმნას დეპუტატთა კრებულის კანცელარიაში სიაში აღსანიშნავად.

ბორჩალოს მაზრის კეთილშობილთა წინამძღოლი თავადი გ. აფხაზი.

(3—6—1)

### მთავრობის განკარგულებანი.

დანიშნულ იქმნენ: ტფილისის მაზრის მომრიგებელ-მოსამართლის დადგენილებით, ამ სასამართლოს მდივნის თანაშემწე კოლლეჟსკი სეკრეტარი ალექსანდრე ქუთათელაძე დათხოვნილ იქმნა ავადმყოფობისა გამო და იმის ადგილას დაინიშნა მომრიგებელ-მოსამართლეს თანაშემწის მდივნის თანაშემწე ტიტულიარნი სოვეტნიკი ალექსანდრე საყვარელიძე, ხოლო ამ უკანასკნელის ადგილზე კოლლეჟსკი რეგისტრატორი დავით თუშმალაშვილი.

აზნაური ნოე ქლენტი და მღვდლის შვილი ეკთიმე ხოშტარია უმცროსს ფოსტალიონებად, პირველი მათუმში და მეორე—აბაშის ფოსტის განყოფილებაში.

ფოსტალიონი ბათუმის ფოსტა-ტელეგრაფის განყოფილებისა ონისიმე პაჭარიძე—ფოსტა ტელეგრაფის მე-VI ხარისხის მოხელედ იქმ.

დათხოვნილ იქმნა ავადმყოფობისა გამო: აბაშის ფოსტის განყოფილების ფოსტალიონი გიორგი ხოშტარია.

### ახალი ამბავი

*** გუშინ ჩვენ ოზურგეთიდგან დაბეჭდილი გვქონდა ამბავი, ვითომ ქიქოძის სახლს ცეცხლი გასჩენოდეს და დამწვარიყოს კ. თავართქილაძის მეუღლე. ეს ამბავი ფოსტით მოგვივიდა. ხელ-მოწ[illegible] წერისაგან. ჩვენ დავუჯერეთ ამ გულის ტკივილით დაწერილს წერილს უცნობისას და დავბეჭდეთ იგი. დღეს დილით მოვიდა ჩვენთან თვით კ. თავართქილაძე და გვაცნობა, რომ მთელი ეს ამბავი თავით ბოლომდე სიცრუე ყოფილა, შეთხზული მისთა არა კეთილის მდომთაგან. სამწუხაროდ მიგვაჩნია, რომ ვენდეთ ისეთს ამბავს, რომლისაგანაც მის დამწერს არავითარი სარგებლობა არ უნდა ჰქონოდა, ტყუილი იქნებოდა თუ მართალი, ვენდეთ ამ უცნობის გულის ტკივილს, მაგრამ თურმე სიბოროტე ადამიანისა ხშირად იქამდე მიახწევს ხოლმე, რომ უსარგებლოდაც მზად არის თავისს თანამოძმეს წყენა მიაყენოს და ამ წყენით სიამოვნება იგრძნოს. რამდენად უკეთური უნდა იყოს ადამიანი, რომ ასეთი საქმე ჩაიდინოს, ჯერ ერთი, რედაქციას მისწეროს სიცრუე, გულის ტკივილით შეზავებული, რომ ტყუილი მართლად მოაჩვენოს, და მეორე, ამისაგან გამოელოდეს წყენას მისთა მახლობელთა, ვის შესახებაც მან სიცრუე შეთხზა, და ისიც წყენას მცირე-ხნოვანს, წუთიერს, რადგან კარგად უნდა სცოდნოდა, რომ მართალი ხვალვე იჩენს თავს და ტყუილის მთქმელს საკუთარის სულის სიბოროტის მეტი არა შერჩება-რაო.

ბოდიშს ვიხდით რა მკითხველის წინაშე ამ წერილის დაბეჭდვისათვის, კვლავ არ შეგვიძლიან ჩვენი მწუხარება არ გამოვსთქვათ, რომ ესდენ დავკნინდით, ესდენ დავეცით დაბლა, რომ გრძნობას სამართლისას ჩვენს [illegible] ანგარიშებისათვის და ჩვენი გული და

---

# ფელეტონი

—

### დასტამბულის სიტყვის იდეალები

პროფესორის ი. რ. თარხნიშვილისა.

(დასასრული *)

დიდი, ბრწყინვალე დანიშნულება აქვს დასტამბულს სიტყვას: მან უნდა შეათანხმოს და შეაერთოს წევრნი საზოგადოებისა, წესიერება შეიტანოს იმათ მრავალ გვარ მოქმედებაში როგორც ღირსებისა, ისე რაოდენობის მხრივ, და ამით საზოგადო სიკეთის დამყარებას ემსახუროს. თუნდა იმითი დავიწყოთ, რომ დარბაისელი, მართალი და თავისუფალი გაზეთი ყოველთვის საუკეთესო და უპირველესი თანაშემწეა სახელმწიფო მმართებლობისა, ურომლისოდაც ეს უკანასკნელი ვერასოდეს ვერ შეასრულებს თავისს დანიშნულებას; ეს დანიშნულება-კი ის არის, რომ იფარავდეს საზოგადოებას გონებრივისა და ფიზიკური დამცრობისაგან და მიჰყავდეს იგი აღყვავებისაკენ. ამ სახელმწიფო უდიადესის აზრის მისაღწევად უმთავრესი საღსარი დასტამბული სიტყვა უნდა იყოს, რადგან ყოველთვის ის უნდა გამოაქვეყნებდეს ჭეშმარიტს ცნობებს კაცთა მრავალ გვარ მოქმედებისა და დიდ სივრცეზე გაშლილის სახელმწიფოს სხვა-და-სხვა კუთხის შესახებ; ის უნდა გვიჩვენებდეს, და ყოველთვის თავისს დროზედაც, საზოგადოებრივის ცხოვრების ყოველ გვარ სამწუხარო და საიმედო მოვლენათ; ერთის სიტყვით, უნდა ჰხატავდეს, რაც-კი შეიძლება, სრულს სურათს როგორც მთელის საზოგადოების, აგრეთვე იმის კერძო ცხოვრების მდგომარეობისას. სახელმწიფოს მმართველთა მოქმედება მარტო მაშინ არის საფუძვლიანი და ნაყოფიერი, როდესაც დასტამბულს სიტყვას შეძლება აქვს ეს მდიდარი მასალა გამოაქვეყნოს. გარდა ამისა დასტამბული სიტყვა დიდს შემწეობას უწევს მმართებლობას სახელმწიფო სამძიმო საგნების განსჯის დროს და ამითი შეძლებისა დაგვარად იფარავს საზოგადოებას იმ შეცდომათაგან, რომელნიც მავნებელნი იქნებოდნენ მის წევრთა კეთილ-დღეობისათვის. დასასრულ, დასტამბულს სიტყვას არ უნდა გამოეპაროს არავითარი საზოგადოებრივი საჭიროება, თითონვე უნდა აღძრას მისთვის მნიშვნელოვანი სარჩიელნი, უნდა ამტკიცებდეს მათ ნაყოფიერებას და ამითი სახელმწიფო მმართებლობას უადვილებდეს იმათ განხორციელებას. უცხო ქვეყნების ჟურნალ-გაზეთების შესახებ რომ არა ვთქვათ რა, რუსეთისასაც ხშირად გაუწევია სახელმწიფოსა და საზოგადოებისათვის ამ გვარი სამსახური.

ნათქვამი შეეხებოდა სახელმწიფო მმართებლობის და დასტამბულის სიტყვის ურთიერთ შორის დამოკიდებულებას და ცხადია, უკანასკნელი თავისის მოქმედებით, თუნდა მარტო ამ მხრივაც გავსინჯოთ იგი, დიდს სამსახურს უწევს საზოგადოების უმაღლესს ინტერესებს. იგი აერთებს საზოგადოების ყველა წევრს შეთანხმებულ და შეკავშირებულ კრებულად, რომელსაც ეწოდება ერი, საზოგადოება. დასტამბულს სიტყვაში, როგორც სარკეში, უნდა იხატებოდეს, როგორ და რამდენად შრომობენ საზოგადოებრივ კეთილდღეობისათვის სხვა-და-სხვა ასპარეზზედ მოღვაწენი; იგი უნდა მოაგონებდეს ერთობას მათის ინტერესებისას, უნდა ავრცელებდეს ჭეშმარიტს სარწმუნოებრივ სწავლას და მეცნიერებაზედ დამყარებულს აზრებს და ამით ემსახურებოდეს საზოგადოების უმაღლესს სულიერს ინტერესებს; ერთის სიტყვით, უძლიერესს შუამდგომლად უნდა იქმნას მეცნიერებისა და საზოგადოების შუა და თვალს არ უნდა აშორებდეს მათს წინმსვლელობას. დასტამბული სიტყვა, თუ ეს განმარტება არ იუცხოვეს, არის ნერვი და სისხლი საოგადოებრივის ორგანიზმისა; ნერვია, რადგან ფსიხიურად აერთებს საზოგადოების კერძო წევრებს, და სისხლია, რადგან ის ავრცელებს საზოგადოებრივს ორგანიზმში ნამდვილი ცოდნისა და სარწმუნოების სხივებს, რომელთაგან დამოკიდებულია ყოველი მოქმედება ადამიანისა. მას არასოდეს არ უნდა დაავიწყდეს საზოგადოების წევრთა ერთობა და იმ რწმენას უნდა ემსახურებოდეს, რომელიც საფუძვლადა აქვს დადებული ყოველ ცოცხალ ორგანიზმს და რომელიც ჰღაღადებს—ერთი ყველასათვის და ყველა ერთისათვისაო; ამ რწმენას უნდა ემსახურებოდეს მიუხედავად იმისა,—ერთისა და იმავე ერისა და სარწმუნოებისანი არიან საზოგადოების შემადგენელნი წევრნი, თუ სხვა-და-სხვისა, ოღონდ-კი ყველასაგან აღიარებულ ისტორიულ და პოლიტიკურ მიზეზთა გამო ერთს სახელმწიფოს შეადგენდნენ. ბიოლოგიაში ცნობილი მოვლენა „სიმბიოზი", ესე იგი ცხოველისა და მცენარის, ან სხვა-და-სხვა რიგის და ხანდახან სხვა-და-სხვა კლასის ცხოველების დაკავშირება, რომელიც ორთავ მოკავშირეთ სარგებლობას აძლევს, თვალსაჩინო მაგალითია იმისი, რომ ცოცხალნი ერთეულნი, რაც უნდა განსხვავებულნი იყვნენ, შეიძლება შეთანხმდნენ და სრული მადლიერნი იყვნენ შეერთებულად ცხოვრებისა, ოღონდ კი მათი შეერთება ურთიერთ სარგებლობაზედ იყოს აგებული. მხოლოდ ამგვარად შეიძლება ცოცხალ ერთეულთა მრავალგვარობაში თანხმობისა და ერთობის დაცვა და უმაღლესს და უწმიდესს მოვალეობას დასტამბულის სიტყვისას შეადგენს საზოგადოებაში ამ აზრის გავრცელება და დამყარება.

მაგრამ საზოგადოებრივი ორგანიზმი, ესე იგი ერის სიცოცხლე, მას შიგან მომხდარ მოვლენათა გარდა, შეიცავს აგრეთვე მის სხვა ერებთან მრავალგვარ დამოკიდებულებას, რომელიც გამოიხატება გონებრივ და მატერიალურ ნაწარმოების გაცვლა-გამოცვლაში. თავდაპირველად ყოველი ერი მჭიდროდ იყო შეზღუდული და სხვისას არას ჰსაჭიროებდა; მერმე-კი განათლებისა გამო გაიცნო სხვა ერნიც, უფრო და უფრო ხშირი მისვლა მოსვლა მოუნდა იმათთან და რადგან ერთმანეთთან დამოკიდებულება დიდად სასარგებლოა დამოკიდებულთათვის, როგორც სულიერს, და

---

*) იხ. „ივერია", № 28.

სული მხოლოდ ამის ზრუნვას მოსდომებია, ტყუილი, სიცრუე შევთხზა საწყენად და ამითი ვისიამოვნო, თუნდა ეს წყენა მცირე-ხნოვანიც იყოს, თუნდა ამ წყენამ სხვისამ მე სარგებლობაც არა მომიტანოს-რა და სხვას არა ავნოს-რა, წყენის მეტიო. აი საზომი იმ ადამიანის სულიერ თვისებათა ავ-კარგიანობისა, რომელმაც ჩვენ იგი ამბავი გვაუწყა, და აგრეთვე აღმნიშვნელი ჩვენის დაკნინებისა, ჩვენდა სავალალოდ და სამწუხაროდ.

⁂ ხვალ, ხუთშაბათს, 20 თებერვალს, ტფილისის კლუბის დარბაზში დანიშნულია კონცერტი „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების სასარგებლოდ“. კონცერტში მონაწილეობას იღებენ კნ. ბ. მ. ამირაჯიბი, კნ. კ. ფ. გურამიშვილი, კნ. ს. დ. ხიმშიაშვილი, ბ. ნ. შანშიევისა, ვ. ლ. ველიჩკო, ი. გ. კარგარეთელი, ი. მ. მატკოვსკი, ი. თ. სარაჯიშვილი და თ. აკაკი წერეთელი. კონცერტის შემდეგ გაიმართება საცეკვაო საღამო ლეკურითა დ კატილიონით. ასეთი კონცერტი „წერა-კითხვის საზოგადოების“ სასარგებლოდ ყოველ წლივ იმართება და ყოველთვის დიდ-ძალი საზოგადოება ესწრება ხოლმე. რაღა თქმა უნდა, რომ წელსაც ჩვეულებრივის თანაგრძნობით მიეგებება საზოგადოება ამ კონცერტს, რითაც შემწეობასაც აღმოუჩენს საზოგადოებას, რომელსაც ჩვენთა შვილთა განათლების საქმე აქვს ნატვირთ-ნაზრუნი, და თვითაც ისიამოვნებს, რადგან ტფილისში იშვიათად იმართება მთელის წლის განმავლობაში ისეთი სასიამოვნო კონცერტი, როგორიც „წერა-კითხვის საზოგადოების“ სასარგებლოდ გამართული კონცერტებია ხოლმე.

⁂ ამას წინად მთავარ-მართებლის თანამდებობის აღმასრულებელმა თავადმა ამილახვარმა საყოველთაო ბრძანება გამოსცა, თუ რა საშუალება უნდა იხმარონ მთავრობის წარმომადგენელთა მოხელეებმა იმისათვის, რომ შავს ჭირს ებრძოლონ. ამ დღეებში ტფილისის გუბერნატორმა, ამ ბრძანების თანახმად, თავის მხრით ბრძანება გამოსცა, რომლითაც ყველა მაზრის უფროსთ დაავალა დაუყოვნებლივ წარუდგინონ მას ცნობები, რა საშუალება უნდა იხმარებოდეს ამა თუ იმ ადგილში. გარდა ამისა გუბერნატორმა უბრძანა, რომ ყველა აფთიაქის პატრონს ხელწერილი ჩამოართვით ამ თავითვე შეიძინოს ისეთი წამლები, რომელნიც სადეზინფექციოდ გამოსადეგია, მზად ჰქონდეთ, რომ ვინიცობაა ჭირი გაჩნდეს—საჩქაროდ დეზინფექცია უყონ იმ სახლებს, სადაც ავადმყოფობა გაჩნდება.

⁂ სახადით ავადმყოფობა ზოგან კარგად იკიდებს ფეხს დაბა-სოფლებში. ამას წინად ტფილისის მაზრის სოფელს ლოუბანში იყო ეს სენი გავრცელებული. ეხლა, როგორც გვატყობინებენ, მეზობელ სოფელში ბოგვშიაც გადასულა ეს სენი, სადაც რამდენიმე კაცი ავად გახდარა ერთის კვირის განმავლობაში და ამათგან ერთი კიდეც გარდაცვლილა.

⁂ ტფილისში ამ ბოლოს დროს ძალიან გავრცელდა ინფლუენცია. თითქმის ქუჩასა და უბანს ვერ მოსძებნით, რომ ამ სენით ავადმყოფები არა ჰნახოთ. ავადმყოფთ სურდო აქვთ, თავისა და თვალების ტკივილი, ხველა, სისუსტე და სხ., ერთის სიტყვით, ყველა ნიშანი ინფლუენციისა.

⁂ გაზ. ,,ნოვ. ობოზრ.''-ეს პეტერბურგიდგან ატყობინებენ: საერო განათლების სამინისტრო სახელმწიფო საბჭოს წინაშე შუამდგომლობს, რომ 1897 წლ. 1-ლ იანვრიდგან ტფილისის გუბერნიაში ხუთს ერთკლასიანს სასწავლებელს 4,500 მან, თითოს 900 მან., მიეცეს ხაზინიდგან. ეს სასწავლებლებია: გომბორისა, ჯალალ-ოღლისა, შულავერისა, წალკისა და ალისა.

⁂ როგორც გაზ. „ტფილ. ლის.“ გვაუწყებს, შინაგან საქმეთა მინისტრს ყურადღება მიუქცევია ტფილისის გუბერნიაში გავრცელებულ საქონლის ჭირისთვის და განკარგულება მოუხდენია, რომ გორის მაზრაში ბეითალი ვორონოვი იქმნას გაგზავნილი, ხოლო ახალციხისაში ბეითალი დიაკონოვი, რომლებმაც საზოგადოდ საქონლის ჭირის და სხვა სნეულებათა წინაღმდეგ ღონისძიებანი უნდა იღონონ.

⁂ იგივე გაზეთი ამბობს, რომ მოქალაქეთა გამგეობაში დიდი უწესოება ჰსუფევს და აქაური უწეს-რიგობა ბევრს უსიამოვნებას აყენებს მოქალაქეთო. გაზეთის სიტყვით, მოქალაქეთა გამგეობის უფროსის მოადგილე თერთმეტს საათზე ადრე არ მოდის გამგეობაში და აუარებელი ხალხი, რომელსაც ათასი რამ საქმე აქვს გამგეობაში, გულ-ხელ დაკრებილი ელოდება იმის მოსვლასო.

⁂ სოფ. კათისხევი. ჩვენს სოფელში მცხოვრებს აზ. ალექსანდრე ცალქალამიძეს ქურდებმა სახლი გაუტეხეს და რაც-კი რამ ებადა, სულ ერთიანად წაიღეს. მოპარულ საქონლის ფასი 400 მ. აღემატება. ცალქალამინიძე იმ დროს თურმე ტფილისში ყოფილა და სანამ სახლში არ დაბრუნდა, მანამდის ვერა გაიგო-რა. ქურდის კვალისთვის ჯ აც ვერ მიუგნიათ.

⁂ შორაპანი. 16 და 17 იანვარს კიდევ განუწყვეტელ წვიმისა და თოვლის დნობის გამო მე 4, 5, 10, 13 16, 19, 21 ვერსზედ ჩამოწვა მიწის ზვავები. მე-16 ვერსზედ პატარა ბოგირი წაახდინა და მე-13 ვერსზედ, როდესაც მატარებელი მიდიოდა, ვაგონები გადასცდა ლიანდაგს და ლიანდაგი გაფუჭდა.

⁂ ბაქო: აქაური მდაბიო, მუშა ხალხი ძალიან შეშინებულია შავის ჭირის მოლოდინით. ბევრნი თავს ანებებენ აქაურობას და გარბიან. საქმემ იქამდის მიაღწია, რომ ბაქოს ტაძრის წინამძღვარმა, დეკანოზმა ა. იუნიცკიმ სთხოვა საქართველოს ეგზარხოსს, ნება მომეცით საეკკლესიო ტრაპეზიდგან რამდენიმე სიტყვა ვსთქვა შავის ჭირის შესახებ ამ მდაბიო ხალხის დასამშვიდებლადაო. ეს ნება-რთვა უკვე მოუვიდა და დღე-დღეზედ ველით პატივცემულის მოძღვარის ქადაგებას.

⁂ თიანეთი: 8 თებერვალს აქ იყო წევრთა წლიური კრება თიანეთის საერო წიგნთსაცავ-სამკითხველოსი. კრებამ მოისმინა გამგეობის წლიური ანგარიში და ერთ-ხმივ შეიწყნარა. ამ ანგარიშიდგანა სჩანს, რომ წარსულის წლის განმავლობაში წიგნთსაცავს ჰქონია შემოსავალი 85 მან. 29 კაპ., წინა წლების დარჩენილი ნაღდი ჰქონია 63 მან. და 8 კაპ. სულ 148 მან. და 37 კაპ. ამ ფულიდგან გამგეობას ახალის წიგნების შეძენისა, დაკაზმვისა და ჟურნალ-გაზეთების დასაკვეთად დაუხარჯავს 139 მან. 40 კაპ.

წლის განმავლობაში წიგნთსაცავს შეუძენია 74 ცალი დაკაზმული ქართული წიგნი და 69 ცალი რუსული წიგნი; გამოწერილი ჰქონია გაზეთები: „ივერია“, „მეურნე“, „კვალი“, „ცნობის ფურცელი“ და რუსული „ახალი მიმოხილვა“. ჟურნალები: „მოამბე“, „ჯეჯილი“ და რუსული ჟურნალის „უცხო ქვეყნის ლიტერატურისა მოამბე“-ს გამოცემა 144 ცალი. პირველს იანვარს ამ 1897 წ. წიგნთსაცავს ჰქონია 255 ცალი დაკაზმული ქართული წიგნი, 81 ცალი დაკაზმული რუსული წიგნი, 100 ცალი უყდო ქართული წიგნი და 56 ცალი უყდო რუსული წიგნი, სულ-კი 492 ცალი წიგნი.

საანგარიშო წლის პირველ თვეებში წიგნთსაცავიდგან უფრო ბევრი წიგნი გაუტანიათ წასაკითხად, ვიდრე შემდეგს თვეებში. მიზეზად გამგეობამ დაასახელა ის გარემოება, რომ შეუძლებლობის გამო ვერ მოვახერხეთ ახალის წიგნების დროზედ შეძენაო. ამ 1897 წლისათვისაც ახალის წიგნების და ჟურნალ-გაზეთების დაკვეთას ვერ შესძლებდა გამგეობა, ამ წლის წევრთა შემოსატანი რომ არ მიშველებოდა.

## ქალაქის საბჭოს

17 თებერვალი

წაკითხულ იქმნა რა წინანდელის კრე ბის დადგენილება, თავმჯდომარე შეეკითხა კრებას: ცუდად ხომ არ არი დაწერილი საბჭოს დადგენილებაო. ზოგიერთმა ხმოსნებმა განაცხადე რომ წარსულ კრებას ხმის უმეტე სობით არ გადაუწყვეტია, ტეხნიკ რომელმაც ავჭალაში ქალაქის წყლ აუზებთან უნდა იცხოვროს, 240 მან. დაენიშნოს ჯამაგირადაო. მად ლობა ღმერთს, რომ კრებამ ამ საგ ნის შესახებ ლაპარაკს ბევრი დრ არ მოანდომა და წინანდელი გა

ისევე ეკონომიურად, იგი უფრო და უფრო იზრდებოდა, მაგრდებოდა და იქამდის მიაღწია, რომ ამ ჟამად მთელი კოდექსი არსებობს იმ კანონებისა, რომლითაც უნდა ხელმძღვანელობდნენ სახელმწიფონი ურთი-ერთ შორის დამოკიდებულების დროს, და რომლის შინაარსს დაწვრილებით განმარტავს საერთაშორისო კანონმდებლობა. დასტამბულს სიტყვას დიდი გავლენა აქვს ერთა შორის კარგის თუ ავის განწყობილობის დამყარებისათვის; მას შეუძლიან ჯიბრი და სიძულვილი სთესოს და ერთმანეთის სისხლი აღვრევინოს; შეუძლიან აგრეთვე ერთა შორის ძმობა, თანხმობა და სიყვარული იქადაგოს და ამ გზით—ერთმანეთის სიყვარულითა და ერთმანეთის სარგებლობით—შეაერთოს მთელის ქვეყნის ერნი ერთს უმაღლეს ბიოლოგიურ ერთეულად, რომელსაც კაცობრიობა ეწოდება და რომლის წევრნი ესე იგი სხვა-და-სხვა ერნი, იმ გვარადვე იქნებიან დამოკიდებულნი კაცობრიობისაგან, როგორც კერძო ადამიანი ერისაგან. ეჭვი არ არის, რომ კაცთა საზოგადოების ისტორია, რომელიც ქრისტიანულის ძმობითა და სიყვარულით ხელმძღვანელობს, დროთა განმავლობაში სხვა-და სხვა ერთაგან იმ უმაღლეს ბიოლოგიურ ერთეულს შეადგენს, რომლის დანიშნულება იქნება არა სისხლის ღვრა ადამიანისა, არა უბედურებისა და სიღარიბის მოფენა, არამედ განხორციელება კაცთ-მოყვარეობისა, სიმართლისა და მშვენიერებისა.

საერთაშორისო ცხოვრებაში სახელმწიფონი ეხლავე ჰმოქმედებენ ისე, როგორც კერძო ადამიანნი: ერთმანეთს უკავშირდებიან და ამით იძენენ განსაკუთრებულ უფლებათა და მოვალეობათა. ადამიანის მრავალგვარ საქციელის გამომწვევ მიზეზთაგან ეხლავე ჰქრება ის გრძნობა, რომელიც კაცთა სიძულვილს გამოიწვევს; უფრო და უფრო სუსტდება სურვილი და გაბედულობა. ერთა შორის ომის გამოცხადებისა. მშვიდობა და, რაც უნდა ძვირად დაჯდეს იგი, მაინც მშვიდობა,—აი უმთავრესი ნატვრა და საჭიროება ყოველი სახელმწიფოსი და ყველა ეს ნიშნები ერადად ამტკიცებს, რომ საერთაშორისო განწყობილებას მალე დაუდგება ახალი დრო, რომელმაც უნდა შეჰქმნას უმაღლესი ბიოლოგიური ერთეული—კაცობრიობა. დასტამბულს სიტყვას შეუძლიან დააგვიანოს, ან მოასწრაფოს კაცობრიობის სიცოცხლის ამ უმაღლესის ფორმის განხორციელება; ეს იმაზედ არის დამოკიდებული, როგორ მოეკიდება იგი საერთაშორისო ცხოვრების მიერ აღძრულს საგნებს. იმას არ უნდა აშინებდეს განათლებულ ერთა უზომო შეიარაღება და შეიარაღებისათვის დახარჯული ურიცხვი მილიონები: არ უნდა ავიწყდებოდეს, რომ რაც მეტად საშინელი და მომაკვდინებელი იქნება ერთმანეთის ამოსაჟლეტი იარაღი, მით უფრო ძნელი გახდება ომის ატეხა.

რულს ჭეშმარიტებას ამტკიცებდას ჩვენი გამოჩენილი მეცნიერი დ. ი. მენდელეევი, რომ როდესაც ასაფეთქებელ ნივთიერებათა შესწავლა უმაღლესს წერტილს მიაღწევს, ბრძოლის ის დანიშნულება-ღა ექნება, რომ რაც შეიძლება სწრაფად და ერთიანად ამოსწყვიტოს მტერი, თუნდა ისე შორს იდგეს იგი, რომ თვალით არც-კი სჩანდესო. მაშინ, რასაკვირველია, ომისა და ბრძოლის სურვილიც გაქრება, რადგან გიჟი უნდა იყოს კაცი, რომ თავისი ძალი და ვაჟ-კაცობა იმ საქმეს შეალიოს, რომელსაც თითონაც ვერ გადარჩება ცოცხალი. ყველამ იცის, რომ რამდენადაც მეტია შიში რაიმე საქმეში, იმდენად ნაკლებია გაბედულობა იმის დაწყებისა, და როდესაც ეს შიში იმდენად იზრდება, რომ თვით დამწყებიც უთუოდ უნდა ინაცვალოს, მაშინ საქმის დაწყების სურვილი თითქმის ყოველთვის სრულიად განქრება ხოლმე. ამის თანხმად განათლებულნი ერნი თავიანთის სამხედრო ხარჯის ზრდას იმითი-კი არ ასაბუთებენ, გვინდა ბრძოლა ავუტეხოთ ვისმეო, არამედ იმითი, რომ გვინდა მზად დავუხვდეთ, თუ ომი გამოგვიცხადა ვინმეო, და ამით ამტკიცებენ, რომ ერთმანეთის ამოსაჟლეტად იმდენი საშუალება არსებობს დღესაც-კი, რომ ომის ატეხა მხოლოდ თავზედ ხელ-აღებულს სასოწარკვეთილებასღა შეუძლიან.

პირდაპირი შედეგი სახელმწიფოთა ამ საშინელის შეიარაღებისა ის იქნება, რომ საყოველთაოდ იარაღს დააყრევინებს და საუკუნოდ დაავიწყებს იმისს ხმარებას და ამის ნაცვლად დაამკვიდრებს ერთმანეთის სიყვარულს და თანხმობას. დასტამბული სიტყვა უნდა ეხმარებოდეს ამ აზრის გამარჯვებას, უნდა ამზადებდეს მკვიდრ ნიადაგს, რომელზედაც ამ ჟამად ჯერ კიდევ განცალკევებულნი ერნი ერთ ოჯახად უნდა შეერთდნენ; უნდა სცდილობდეს, განფანტოს ერთა შორის აღძრული უსიამოვნო გარემოებანი, რასაკვირველია ისე, რომ ერის სახელსა და ღირსებას არა დააკლდეს რა. დასტამბული სიტყვა უნდა სცდილობდეს სისხლის ღვრის მაგივრად ერთა შორის ყოველმხრივი მეტოქეობა ჩამოაგდოს, მეტოქეობა მეცნიერებასა, ხელოვნებასა და მრეწველობაში. ეს ქიშპობა ყველგან სიყვარულისა და ცოდნის სინათლეს მოჰფენს, შეამცირებს აქამდე შეწუხებულის კაცობრიობის ვარამს და უფრო ბედნიერს მომავალს მოუახლოვებს.

დიდია, როგორც ჰხედავთ, ტვირთი დასტამბულის სიტყვისა; დიდია მოვალეობა პუბლიცისტისა, მაგრამ შესაძლო არის კი ამ მოვალეობის აღსრულება? შეუძლიან თუ არა დღევანდელ გარემოებათა შორის მყოფს დასტამბულს სიტყვას კეთილსინიდისიერად აასრულოს თავისი წმიდა საზოგადოებრივი მოვალეობა? ჩვენა გვწამს, რომ თუ გულწრფელად შეუგნია მას თავისი მოვალეობა დ გულით უნდა მისი ასრულება, ძალიან დიდს სამსახურს გაუწევს იგი საზოგადოებას იმ ნი დაგზედ, რომელიც აქ აღვნიშნე მაგრამ მის მოქმედების კეთილნაყ ფიერებას ხელს უნდა უწყობდეს ზნ ობრივი შეწევნა დ დახმარება საზოგ დოების წარჩინებულ პირთა საზოგად ებრივ საგნების განსჯის დროს და რეთვე შეერთებული მეცადინეო ყველა ჟურნალ-გაზეთებისა ცხოვრ ბისაგან წინ წამოყენებულ ს განთა ყოველ მხრივ შესასწავლა ამიტომ აღტაცებით უნდა მივეგებო უკანასკნელს ხანში დაარსებულს ალს გაზეთებს, რომელთ გამოც ამტკიცებს, რომ საზოგადოებისთ აუცილებელ საჭიროებად გამხდა თავისის ყოფა-ცხოვრების განსჯა, მხოლოდ ისღა უნდა ვისურვო რომ შეერთებულისა და შეთანხმ ბულის შრომით დაუღალავად მიუ ღვოდნენ საზოგადოებას იმ სანა რელ მომავლისაკენ, რომელმაც და განახორციელოს საყოველთა სიკეთე.

ი. მაჭავარიანი.

**შეცდომის გასწორება:** გუშინდ ე ფელეტონში: „დასტამაული სიტყვის იდ ლები“ შემდეგი კორრექტურული შეცდ მები შეპარულა: ფელეტონის მეორე სვე ში ქვემოდგან უკანასკნელ სტრიქონში ბეჭდილია: „აძლევს“, უნდა იყოს „ეძებ მეოთხე სვეტში ზემოდგან მეთორმ სტრიქონში დიბეჭდილია ,,შთამამავლ ბის'', უნდა იყოს ,,შთაგონების''. მეხუ სვეტში ზემოდგან მეორე სტრი ნში დაბეჭდილია: „დამოკიდებული“, და იყოს ,,დამოუკიდებელი''. იქვე ზემო გან მეათე სტრიქონში დაბეჭდილია: ,,ცი ლიზაციურად'', უნდა იყოს ,,ცივილ ციას''.

დაწყვეტილება ძალაში დარჩა.

შემდეგ ბ-ნმა ივანენკომ კრებას აცნობა, 27, და 31 იანვარს და 5 და 7 თებერვალს რომელი ხმოსნები და რა მიზეზისა გამო არ დაესწრენ საბჭოს კრებას. ამასთანავე წაკითხულ იქმნა ბ-ნის ტფილისის გუბერნატორის მოწერილობა, რომ ტფილისის საბჭოს ხმოსნები ძალიან ხშირად აკლდებიან კრებასაო. იმავე მოწერილობაში ბ-ნი გუბერნატორი ამბობს, რომ ხმოსანს მხოლოდ ოთხი შემაწყნარებელი მიზეზი აქვს კრების დაუსწრებლობისაო: 1) თუ სადმე წასულია და ამ დროს გზა გაფუჭდა, ასე რომ მისვლა-მოსვლა შეწყვეტილია, 2) თუ ავად არის; 3) თუ მახლობელი ნათესავი გარდაეცვალა, ანუ მძიმედა ჰყავს ავადა, და 4) თუ სახელმწიფო სამსახური რაიმე განსაკუთრებულს საქმეს ავალებს და დრო არ ექნება კრებას დაესწროსო.

დანარჩენს შემთხვევაში ხმოსანს გასამართლებელი მიზეზი არა აქვს-რა კრებაზედ დაუსწრებლობისაო, და თუ რომელმამე ხმოსანმა ეს არ შეასრულა, თავმჯდომარემ პირველად შენიშვნა უნდა მისცეს, მეორედ დააჯარიმოს და მესამედ გამორიცხოს ხმოსნობიდგანო.

ხმ. ხუდაძოვი. ბევრი ჩვენგანი მართლაც ხშირად და უმიზეზოდ აკლდება საბჭოს კრებას. წესდებაში ნათლად არის მოხსენებული, რა შემთხვევაში აქვს ხმოსანს უფლება, რომ კრებას არ დაესწროს. ქალაქის გამგეობას კი არც ერთი გასამართლებელი საბუთი არ აქვს წარმოდგენილი კრებებზე დაუსწრებელ ხმოსანთაგან.

შემდეგ ცოტაოდენის ლაპარაკისა და ბ-ნ ხოსროევის მოკლე სიტყვისა, რომ ყველა ხმოსანთ, რომელნიც კრებას ვერ ესწრებოდნენ, შესაწყნარებელი მიზეზი ჰქონდათო, ამ საგნის შესახებ ლაპარაკი შესწყდა, და საბჭო იმ მოხსენების განხილვას შეუდგა, თუ ქალაქმა რა მონაწილეობა უნდა მიიღოს პოლიციის შესანახ ხარჯშიო.

შინაგან საქმეთა სამინისტრო თხოულობს, რომ ქალაქმა პოლიციის შენახვისათვის 73,000 მან. ნაცვლად რომელსაც ამ ჟამად ხარჯამს, 100,000 მან. ჰხარჯოს ყოველ წლობითაო. საბჭოს აზრით, ქალაქს ამოდენა ხარჯის გაღება ყოველ წლობით არ შეუძლიან, რადგან ამ ბოლოს დროს დიდი ხარჯი და ზარალი მოუვიდა სხვა-და-სხვა საქმეზედო. ბოლოს საბჭომ გამგეობის წინადადებისამებრ დაადგინა: ქალაქის თვით-მმართველობას პოლიციის შესანახ ფულის მომატება არ შეუძლიანო.

ამის შემდეგ საბჭოს მოხსენდა სასანიტარო-საექიმო ინსპექტორის ბ-ნ სტეფანოვის მიერ შედგენილი და გამგეობის მიერ მოწონებული წინადადება იმის შესახებ, რომ რადგან ქალაქში თანდათან შავი სახადი მატულობს და ადვილად შესაძლებელია ეს სენი უფრო და უფრო გავრცელდეს ქალაქში, ამ სენით ავადმყოფთათვის 4 თვის ვადით საავადმყოფო იქმნას დაარსებულიო. საავადმყოფოში გამგეობის მოხსენებით 20 ავადმყოფი დაეტევა, რომელთათვის 2 ექიმი და 2 ფერშალი უნდა დაიქირაონ. ამ საავადმყოფოს მოწყობის და შენახვისათვის გამგეობის ანგარიშით 5,418 მანეთია საჭირო. აქვე წაკითხულ იქმნა გუბერნატორის წინადადება იმის შესახებ, რომ ქალაქმა დროებითი საავადმყოფო გახსნას, რომელშიაც 30 ავადმყოფის მოთავსება შეიძლებოდეს. ამ საავადმყოფოს მოწყობას პირველად 2000 მან. მოუნდება, ხოლო შენახვას წელიწადში 8,720 მან.

თაიროვი (ი. ა.). ჩვენ უმთავრესი ყურადღება უნდა მივაქციოთ იმ მიზეზებს, რომელთ გამოც ავადმყოფობა ვრცელდება ქალაქში. სოლოლაკისა და საპიორის ქუჩის ჯირგინებში ბევრი სიბინძურე იყრის თავს, ცუდი სუნი ამოდის იქიდგან და ჰაერს შხამავს. გარდა ამისა, ქალაქის არხების გაყვანისათვის უნდა ვიზრუნოთ. დღეს-კი, რა გაეწყობა, ქალაქის წინადადება უნდა შევიწყნაროთ 4 თვის ვადით საავადმყოფოს გამართვის შესახებ. თუმცა ესეც-კი უნდა ვსთქვათ, წელიწადში ქალაქი მკვიდრთა ჯან-საღობისათვის 87.000 მან. ჰხარჯავს.

ექ. მაღინინი. მიხეილის საავადმყოფო სავსეა ავადმყოფებით. იქ არა მარტო ქალაქის მკვიდრნი, პროვინციებიდგან ჩამოსული ავადმყოფიც ბევრია. ამიტომ საჭიროა დროით ვიზრუნოთ ღარიბ ავადმყოფთა თავშესაფარისათვის.

ხმ. ხუდაძოვი. შავის სახადის გარდა ტფილისში სხვა-და-სხვა მოარული სენია გავრცელებული და ადვილად შესაძლებელია, გაზაფხულზედ ყვავილიც გაჩნდეს. ამისათვის საავადმყოფოსათვის ეხლავე უნდა დავიქირაოთ სახლი 2 თვის ვადით, სანამ ფარდულებს გავმართავდეთ საზოგადოდ მოარულ სენით შეპყრობილთათვის. საავადმყოფოში 4 განყოფილება უნდა იყოს.

თავ. ა. მ. არღუთინსკი-დოლგორუკი. ამ ჟამად საშიშ სენს ტფილისში შავი სახადი წარმოადგენს და სწორედ ამ სენით შეპყრობილთათვის უნდა გავაკეთოდ საავადმყოფო, რომელსაც ორი განყოფილება უნდა ჰქონდეს— ერთი ქალთა და მეორე კაცთათვის. საავადმყოფოში 30 კაცს უნდა შეეძლოს მოთავსება.

ხანგრძლივ ბაასის შემდეგ საბჭომ ხმის უმეტესობით დადგინა: 4 თვის ვადით გაიმართოს საავადმყოფო საზოგადოდ გადამდები სენით ავადმყოფთათვის, რომელშიაც 30 კაცს უნდა შეეძლოს მოთავსება, და ამ საქმისათვის გაიდოს 6,400 მან.

დასასრულ კენჭის ყრით გამგეობის მოხსენება იქმნა შეწყნარებული იმის შესახებ, რომ მასწავლებელს კატანიანცს 200 მან. დახმარება აღმოეჩინოსო, წინააღმდეგ საფინანსო კამისიის დადგენილებისა, რომელიც ამბობდა, რომ კატანიანცს 300 მან. მივცეთო.

## რუსეთი

—

პეტერბურგში სადიდმარხვოდ დანიშნული იყო გამოფენა სალიტოგრაფიო ნაწარმოებთა, რომელსაც უნდა აღენიშნა ისტორიულად განვითარება სალიტოგრაფიო საქმისა რუსეთში, ეს გამოფენა ეხლა გადაუდვიათ და ჯერ არც დროა დანიშნული მისის დაწყებისა.

—

მიწად-მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა სამინისტროს განუზრახავს ამ წლიდან სცადოს ყირიმში თამბაქოს მოყვანა.

—

საერო განათლების სამინისტროს ამა 1897 წლის ხარჯთ აღრიცხვით შემდეგი ფულია გადადებული სასწავლებლებისათვის: უნივერსიტეტების ხარჯი 3.795,707 მან., გიმნაზიებისა და სხვა საშუალო სასწავლებლებისა 6.208,137 მან., რეალურ და სამრეწველო სასწავლებლებისა —2.666,476 მან., სამაზრო და ქალაქის სასწავლებლებისა —1.944,441 მან. სამრევლო და პირველ-დაწყებით სასწავლებლების —373,582 მ., საერო სასწავლებლებისა—2.145,231 მან., სამოსწავლებლო ინსტიტუტისა, სემენარიებისა და სასწავლებლებისა — 1.227,927 მან. და განსაკუთრებულ სასწავლებლებისა —1,484,998 მან.

—

ფოსტა-ტელეგრაფის ოლქებთან დაარსებულ იქმნება კურსები, რათა ფოსტა-ტელეგრაფის მოხელეებს შეეძლოთ ფრანგულისა და გერმანულის ენის შესწავლა.

—

უცხო ქვეყნის ერთს დამზღვეველს საზოგადოებას მიუმართავს რუსეთის მთავრობისათვის, რომ ნება მოგვეცით რუსეთში დავაარსოთ საზოგადოება თეატრებისა და ცირკებში მოსიარულე საზოგადოებისა, დამზღვეველი ცეცხლისა და სხვა უბედურებისაგანაო. კაცის თავზედ დაზღვევს ფულს ეს ახალი საზოგადოება 10 კაპ. მეტს არ გადაახდევინებს თურმე.

## უცხოეთი

—

**აღმოსავლეთის საქმე.** ერთის მხრივ ძლიერი ევროპა და მეორეს მხრივ პატარა საბერძნეთი, ერთის მხრივ კანონიერი მოთხოვნილება, მეორეს მხრივ მხოლოდ ძალ-მომრეობა!! აი, ასეთს სურათსა ვხედავთ დღეს, როცა კრიტის საქმეებს ვაკვირდებით. ევროპამ მარტო მუქარა როდი აკმარა საბერძნეთს კრიტის საქმეებში ჩარევისათვის, არამედ ძალასაც მიჰმართა მის წინააღმდეგ. როგორც ამას წინად დეპეშამ ამბავი მოგვიტანა, 9 თებერვალს ევროპის დიდ სახელმწიფოთა გემებიდგან, საფრანგეთისა და იტალიის გემებს გარდა, ზარბაზნები დაუშინეს კრიტის მეამბოხეთ, მაგრამ საბერძნეთი, გატაცებული მამულიშვილურის გრძნობით, ამას სულაც არ შეუშინდა. დიდ სახელმწიფოთა ამ გვარმა მოქმედებამ ძალიან აღაშფოთა არა მარტო საბერძნეთი, არამედ ევროპის საზოგადოების საუკეთესო ნაწილი. ათინას, პარიზს, ლონდონსა და რომში ხალხმა დიდი მანიფესტაციები გაჰმართა, რომლითაც საბერძნეთს თავისს თანაგრძნობას უცხადებდა და დიდ სახელმწიფოთა მოქმედებას ჰკიცხავდა. რაც უფრო სასტიკად იქცევა ევროპა, იმდენად საბერძნეთი უფრო მეტს სიმამაცეს იჩენს თავის საერო საქმეში.

როგორც გაზეთები გვატყობინებენ, ერთი სახელმწიფოს წარმომადგენელს საბერძნეთის მთავრობისათვის განუცხადებია, რომ ყოვლად შეუძლებელია — ეხლა კრიტი საბერძნეთს შეუერთდესო. ამ ჟამად მხოლოდ ის შეიძლება, რომ კრიტს თვით მმართველობა მიენიჭოს ხონთქარის უზენაესს მფარველობითაო. საბერძნეთის გარეშე საქმეთა მინისტრს ბ-ნ სკუზესს უპასუხნია, რომ ამ გვარი თვით-მმართველობა ვერც კრიტის მკვიდრთ და ვერც საბერძნეთს ვერ დააკმაყოფილებსო. კრიტი უთუოდ საბერძნეთს უნდა შეუერთდეს, ეს არის სურვილი ერთისაცა და მეორისაცაო. ბ-ნს სკუზესს თავისის სიტყვების დასამტკიცებელ საბუთად, სხვათა შორის, ის მოუყვანია, რომ კანეიაში მყოფ უცხო ქვეყნის კონსულებს ყოველ დღე კრიტელებისაგან პეტიცია მოსდით, რომელშიაც კრიტის საბერძნეთთან შეერთებას თხოულობენო.

ამ ამბავზედ უფრო საყურადღებოა საბერძნეთის მეფის გიორგის საუბარი ერთს დიპლომატთან. დიდი ხანიაო, უბრძანებია მეფეს, რაც დიდ სახელმწიფოებს ვაფრთხილებდი, რომ კრიტის საქმე საშიშს მდგომარეობაშია და დროზედ უნდა ეშველოს რამეო. იმის მაგიერ, რომ სახელმწიფოებს ოსმალეთისათვის ძალა დაეტანებინათ და კუნძულზედ დიდნი ცვლილებანი შემოეღებინებინათ, მართვა-გამგეობა გაეუმჯობესებინათ, სახელმწიფოებმა კრიტის საქმეები უფრო არივ-დარიესო. მეტი მოთმენის თავი აღარა მაქვსო, უბრძანებია მეფეს; მე გარდავწყვიტე, კრიტი საბერძნეთს შემოვუერთოო. ჩემს ასეთს განზრახვას უთუოდ წინააღუდგებიან, მაგრამ ეს სულაც არ მაშინებს, რადგან დარწმუნებული ვარ, რომ ყველა ბერძენი, საცა უნდა სცხოვრობდეს იგი, ჩემს მხარეს არისო. ჯარს ნაბრძანები აქვს კრიტი დაიპყროს და საბერძნეთს შემოუერთოს და იმისს მართვა-გამგეობის საქმესაც ჩქარა მოვაწყობო. ან-კი რა საკვირველი საქმეა, სთქვა მეფემ, კრიტი რომ საბერძნეთს შემოუერთდეს, როდესაც ისიც-კი არავის გაკვირვებია, რომ ინგლისმა თავისს სამფლობელოს კიპრი შეუერთა, პრუსიამ—შლეზვიგ-ჰოლჰშტეინი, ავსტრი-უნგრეთმა —ბოსნია და ჰერცოგოვინა და სხ.

როდესაც საბერძნეთი მამულიშვილურის გრძნობით ასეა გატაცებული, ოსმალეთის მთავრობას გზა და კვალი აქვს დაბნეული და აღარ იცის, რა ღონისძიებას მიჰმართოს. ხან ერთს დიდს სახელმწიფოს ეკითხება და ხან მეორეს— მირჩიეთ, რა ვქნა და როგორ მოვიქცეო. ამ დღეებშიაც შეუთვლია თავისის წარმომადგენლების პირით დიდ სახელმწიფოთათვის, რომ საბერძნეთის მთავრობამ კუნძულ ხიოსის მკვიდრთ თოფები დაურიგა და ჰსურს იქაც აჯანყება მოახდინოს ჩემს წინააღმდეგ და რას ბრძანებთ ამისა გამოო.

ერთს დიპლომატს კარგად უთქვამს ოსმალეთის მთავრობისათვის, რომ ჩვენ რას გვეკითხებით ყოველ წამს და თავს რად გვაბეზრებთ, როგორც გინდათ, ისე მოიქეცით, თქვენის საქმის თითონ თქვენ უფრო არ უნდა იცოდეთ, ვიდრე სხვამაო...

## სასამართლოს მატიანე

პელაგია ჯაფარიძისა და ლუკა კობერიძის საქმე.

18 თებერვალს სასამართლო პალატამ განიხილა საქმე პელაგია ჯაფარიძისა და ლუკა კობერიძისა, რომელთაც სიყალბის ჩადენა ჰბრალდებოდათ. თავმჯდომარეობდა ა. პ. ფრანცოვი, წევრებად იყვნენ ტ. ტ. გლუშანოვსკი და ოპტოვცევი, ხოლო ბრალმდებლად ბრალმდებელის ამხანაგი ე. ნ. ხლადოვსკი. დამნაშავედ იცავდა ნაფიცი ვექილი პ. ა. ოპოჩინინი, სამოქალაქო მომჩივანის მხრივ გ. ს. ტერ-სტეფანოვი. იყო დამნაშავენი არ გამოცხადდნენ.

აი მოკლედ გარემოება ამ საქმისა: 1889 წ. რაჭის მაზრის მცხოვრებელს ფრიდონ ჯაფარიძეს რამდენიმე თამასუქი მიუცია თავისის მეორე (უშვილო) ცოლის პელაგიასათვის, რომ როდესაც მოვკვდები, მთელი ჩემი ქონება სულ პირველის ცოლის შვილებს არ დარჩეთ და შენც გერგოს რამეო. ეს თამასუქები დაუწერია ლუკა კობერიძეს ქართულად. როდესაც ფრიდონ ჯაფარიძე გარდაიცვალა და ქვრივს თამასუქები წარუდგენია სასამართლოში, განსვენებულს ჩემი ფული ემართაო (სულ 17 თამასუქი იყო), მემკვიდრემ გარდაცვალებულისამ, პელაგიას გერმა ქალმა ირინე ჯაფარიძემ განაცხადა თურმე, რომ მაგ თამასუქებში სიყალბეა ჩადენილი, მაგალითებრ ერთში —ადრე წერებულა „ათას ხუთასი მანეთი", ჩემი დედინაცვალი და ლუკა კობერიძე მორიგებულან და ამ უკანასკნელს მიუწერია ამ სიტყვებისათვის წინიდგან „ათი" და „ათი ათას ხუთასი მან." გაუხდიათო. ამის გამო სასამართლომ ეს საქმე გამომძიებელს გარდასცა.

წარსულს წელს საქმე განიხილა ქუთაისის ოლქის სასამართლომ და ბრალდებულნი გაამართლა. ამ განაჩენს ბრალმდებელი არ დასთანხმდა, პალატაში გადიტანა და გუშინ ამის გამო ირჩეოდა ეს საქმე ტფილისის სამოსამართლო პალატაში. პალატაში ბრალმდებელმა განაცხადა, რომ სიყალბეს ვერა ვხედავ და ამიტომ, ჩემის აზრით, ქუთაისის ოლქის სასამართლოს განაჩენი უნდა დამტკიცებულ იქმნასო. ირინე ჯაფარიძის ვექილმა ბ-ნმა ტერ-სტეფანოვმა სთხოვა სასამართლოს, ეს თამასუქი ყალბად იცანითო. ბრალდებულთა ვექილი ოპოჩინი ამტკიცებდა, რომ აქ სიყალბე არ არის ჩადენილიო.

სამოსამართლო პალატამ შემდეგი განაჩენი დაადგინა: „პელაგია ჯაფარიძისა და ლუკა კობერიძე ცნობილ იქმნენ დამნაშავედ, რომ სიყალბე ჩაუდენიათ. ჩამოერთვათ ყოველივე უფლება და გაგზავნილ იქმნენ ციმბირში სამუდამოდ, ისე-კი, რომ 12 წლის განმავლობაში ირკუტსკის გუბერნიიდგან არსად შეეძლოთ წასვლაო.

ამ საქმის განხილვას სასამართლოში დიდ-ძალი ხალხი დაესწრო.

## უსაფუძვლო სამდურავი

(„ნარკვევის" ავტორის პასუხად)

„ივერიის" მე 22 №-ის ნარკვევში გარჩეულია მოკლედ ერთი წერილი, რომელიც მოთავსებული იყო „ნედელიაში" და შეეხებოდა პროექტს, რომელსაც ეწოდება „გლეხთა სამეურნეო ფული ტფილისის გუბერნიის სოფლის საზოგადოებათათვის" — „კრიტიკა" იმით იწყება, რომ „ნედელიაში" მოთავსებულ წერილის ავტორი, თურმე,... საქმეს სუბუქად მოჰკიდებია... უფრო-

დინრადაც... დედა აზრისთვისაც ვერ მიუგნია... არსებითი აზრი ვერ უცნია... უცნაური ავტორი... მეტად მოცლილი და უსაქმური ყოფილა.." და მრავალი სხვა ამგვარი. ძნელად წარმოსადგენია, რომ ამ სიტყვებით დასაბუთებული აზრი—ჩვენის წერილის წინააღმდეგ—ვისმეს დაურღვევლად მიაჩნდეს. ამასთანავე არცა გვწყინს და არც გვიკვირს ასეთი მოპყრობა. მხოლოდ ისიც-კი უნდა აღვნიშნოთ, რომ ეს ჩვენი აკად მოხსენება და „წესდებიდან" სხვა-და-სხვა გამოწერილი ადგილები რომ გამოვაცალოთ „ნარკვევს"—კრიტიკისა ერთი სტრიქონიც აღარ დარჩება. პირუკუ გარჩევას ჩვენის წერილისას, „ნედელიაში" დაბეჭდილისას, სამერმისოდ გვპირდება; ჯერ-ჯერობით-კი მხოლოდ ერთ „საბუთზე" დამდგარა „ნარკვევის" ავტორი.

უპირველესი შეცდომა იმაში მიგვიძღვის თურმე, რომ სოფლის საზოგადოების მზრუნველი „წესდების" აღსრულებაში მოყვანისა (მიწების ყიდვა, საქონლის მოშენება და სხვა.) „უხსტკის" პოლიცია-კი არა ყოფილა, როგორც ჩვენ გვგონია,—არამედ „ამა და ამ §§-ბის ძალით თითონ სოფლის საზოგადოება, ან იმისი ამორჩეულნი ყოფილან: ამის დასამტკიცებლად გვეუბნებიან: § 34 და შემდეგი მუხლები „წესდებისა" ამბობენ—საზოგადო საჭიროების საჩვენებლად უნდა შესდგეს განაჩენი სოფლის ყრილობისაგან, სადაც ნათლად უნდა იყოს აღნიშნული საგანი საზოგადო საჭიროებისა და რაოდენობა ფულისა ამ საჭიროების დასაკმაყოფილებლად. ამ განაჩენს წარუდგენენ მაზრის უფროსს, რომელმაც თავისის მხრით თავისი აზრი უნდა გამოსთქვას ამ განაჩენზედ და წარუგზავნოს ბ-ნ გუბერნატორს. უკანასკნელმა კიდევ უნდა მოიწვიოს გუბერნიის მართველობა და გლეხთა საქმეთა გამგეობა. მარტო ამ შეერთებულ კრებულსა აქვს ნება გადასწყვიტოს განაჩენის ბედი: ან ფული მისცემენ, ან უარს ეტყვიან საზოგადოებას—ჭირი არა გჭირთო! ყოველივე ეს მოხსენებულიაო მე-34, 35, 36 და 40 §§-ში. ამ პარაგრაფების ჩამოთვლა და ხარისხოვან კაცთა დასახელება შიშს თუ ჩაგვიგდებს გულში, თორემ ჩვენის აზრის პასუხი სრულიადაც არ არის. რა გვიამბეს ამით? ფული რა წესით უნდა აიღოს საზოგადოებამ თავისის საჭიროებისათვისაო. მერე ვინ გახლდათ წინააღმდეგი, რომ ამ წესით-კი არა, სხვა წესით იღებენ ფულსაო.

არც ჩვენ გვითქვამს, „უხსტკის" პოლიცია აძლევს ფულს სოფლის საზოგადოებასაო! სანატრელია თუ არა ზემოხსენებული წესი ფულის აღებისა, ამას თავი დავანებოთ. ესლა გვინდა, მხოლოდ გამოვარკვიოთ რა მუშაობს „უხსტკის" პოლიცია ფულის მიცემაში—დახარჯვაში. ჩვენ გვგონია, რომ ამაში მოკლედ [illegible] „ნედელიაში" სავსებით იყო [illegible].

განა ჰგავს ეს [illegible] სოფლის თავმჯდომელ, გამგებლობას, მწერალს, ერთი სიტყვით მართობა, თუ არა „უხსტკის" პოლიცია? [illegible] „[illegible]", [illegible] „[illegible]",—რომლისამე სოფლის საზოგადოებანი [illegible] თავისით [illegible] აზრად,

თუ ჩამჩიჩინებელი არავინ გამოუჩნდა? ხომ ისიც ვიცით, რომ სოფელი სრულიად მოკლებულია ინტელიგენციას! მაშ ვისა აქვს აქ ინტერესი? ისევ პოლიციას! იმიტომ-კი არა, რომ ძალიან გული ეხრაკებოდეს საზოგადო კეთილდღეობისათვის, სხვაც რომ არა ვიფიქროთ-რა, შეიძლება მარტო თავის სასახელოდ და გამოსაჩენად! მაშ ვერ ჩააგონებენ სოფლის კრებას ეს გამოიწერეთ, ის იყიდეთ, ეს ააშენეთო? მერე ვერ მოახერხებენ ამ საქმეს თითონვე დაუპატრონონ, იმ ფიქრით მაინც, რომ ბრიყვის ხალხის ამორჩეულნი საქმეს ვერ გაუწევენ მეთაურობასაო? შიშშილობაში? (თუმცა-კი „პროექტის" ძალით არ უნდა მოველოდდეთ ამ უბედურებას.) ვინ იქნებიან გამგებელნი? თუ წესიერად არ მოუარეს, ხომ ორს თვეზედ დაიღუპა ამდენის წლის ნაშრომი! მოვიგონოთ წარსული წლები შიდა რუსეთში, სადაც „ზემსტვო" მოქმედობდა, მაგრამ მაინც კიდევ.... განა ჩვენი სოფლის თვით მმართველობა იმისთანაა, რომ სრულს თაოსნობას აძლევდეს საზოგადოებას რაშიმე? მართლადაც, ვერ „შეგვიგნია" და ვერ „გაგვითვალისწინებია", რომ შეიძლებოდეს ამ საქმის, ან რაიმე საზოგადო საქმის გამოცლა სოფელში პოლიციისაგან აწინდელ საადმინისტრაციო სისტემაში. ვთქვათ კიდევაც, რომ თავისით მოინდომა სოფლის საზოგადოებამ, მაგალითებრ ჯიშიან საქონლის ყიდვა. ამის შესახებ ხომ ყრილობა უნდა მოხდეს და განაჩენი უნდა შესდგეს მამასახლისის თაოსნობით. განა წარმოსადგენია, რომ ამისთანა საქმის დაწყობა სოფლისაგან ბოქაულს გამოეპაროს და თავისი რჩევა-დარიგება არ მისცეს საზოგადოებას? შედგენილი განაჩენი განა გადაასხტება ბოქაულს და პირდაპირ მიერთმევა მაზრის უფროსს? ამანაც ხომ თავისის აზრით (ეს „აუცილებელი და ძალიან დაახლოებული მონაწილეობა" არ გახლავთ?) უნდა გუბერნატორს წარუდგინოს. მაშასადამე აქაც თუ დასტური არ მისცა პოლიციამ, შეიძლება იწარმოოს საზოგადოების დადგენილებამ? ამ მონაწილეობაში ვხედავთ ჩვენ („წესდებაში" არი რამ თუ არა ამის შესახებ ეს სულ ერთია—ცხოვრებაში ხომ არის!.) იმ ფართო მოედანს, სადაც შეუძლიანთ ინავარდონ.

მაშ რა დავაშავეთ, რომ ვთქვით: არა რა იქნება „უხსტკის" პოლიციის „ზოგჯერ აუცილებელ და ზოგჯერ ძალიან დაახლოებულ მონაწილეობის მიუღებლობაო!" საერთოდ რუსეთში თუ აქ, უწინ თუ ეხლა თავის გვალს დაატყობენ საქმესაო; საუკუნოების რეჟიმია ასეთი და აქაც იჩენს თავსაო, ვთქვით.

[illegible]

კონსტ. ა—ი

## ნაწყვეტი

ჯავრო, შხამ-გესლით ნადუღო,
ზღვის ღელვად გადაქცეულო,
რისთვის მაშფოთებ დღე და ღამ,
რად არ მასვენებ წყეულო;
დაწყნარდი, გულო, მღელვარევ,
ვეფხვივით გადარეულო,
დაგწყევლი კაცის ბუნებავ,
შურისძიებას ჩვეულო!..

დ. მაჩხანელი

## დამაკვირდი

რისხვას ვერა სძლევ რისხვითა: რისხვა ემორჩილება მარტო მშვიდობით-მყოფელობას.

ბუდდა

***

არის იმისთანა თავ-მოწონება, რომელსაც კეთილშობილურ თავ-მოწონებას ეძახიან. ამისთანა თავ მოწონება უცილოდ უნდა ჩაითვალოს ღირსებად. ამისთანა თავ მომწონი ყველა ქებაზე უდიდესად ჰხადის მას, რომ თვით გული მისი ეუბნება შენ შენი მოვალეობა აღასრულეო. ქარაფშუტა თავ-მომწონე-კი ეძიებს სხვისაგან ქება-დიდებას. პირველს ჰსურს, რომ მისი საქციელი თავისთავად იყოს ღირსი ქებისა, მეორე-კი იმას კმარობს, თუ სხვა საქებურად მიიჩნევს.

ვეისი

***

თუ შენ პატიოსანი მამულის-შვილი ხარ და კარგი კაცი—მე პატივსა გცემ. ხოლო თუ შენ გაქნილი კაცი ხარ და შენის დიდ-კაცობით გვიბამ თვალებს—ზედაც არ შეგაფურთხებ. მე და შენ შორის საერთო არ არის რა, გარდა ჩემის ქვეყნის კანონებისა, რომლის წინაშე ყველანი თანასწორნი ვართ.

უცნობი

## ჟურნალ-გაზეთებიდამ

ამოკრებილი ამბები.

ერთი საშინელი სნეულებათაგანი წყალმანკია. ეს ისეთი სენია, რომ ჯერ მკურნალობას მისი უებარი წამალი არ უპოვნია. ჯერ ეს სენი ხომ თავისითა ჰკლავს ადამიანს და მერე იმითიც, რომ, რაკი ვისმეს აუჩნდება, იმედს აკარგვინებს მორჩენისას და ეს უიმედობა უფრო ჰშველის სენს მსხვერპლი მალე შეიწიროს და გამოასალმოს წუთის-სოფელს, რადგანაც ამ შემთხვევაში გულ-მაგრობა და მხნეობა სნეულისა ხელს არ უწყობს მკურნალობას. ეხლა აღმოუჩენიათ ერთი უბრალო წამალი და, თუ დავიჯერებთ, უებარი თურმეა. პროფესორი ვილჰელმ ვინტერნიტცი ერთს გერმანულს ჟურნალში სწერს, რომ დიდი ხანია ხალხმა იცის ეს წამალიო და მართლადაც ძალიან მარგებელი გამოდგაო. წამალი იგი თურმე არყის ხის (береза) ფოთოლია; იგი თურმე უნდა მოიხარშოს და მისი წვენი სვას სნეულმა. პროფესორი ამბობს, [illegible] ლარე წყალი. მერე ყოველივე ეს ორჯერ წამოადუღეთ და მას შემდეგ ორი საათი ისე დადგით. ორ სათს შემდეგ საწურავში გასწურეთ და მერე დაალევინეთ სნეულსა. შეიძლება ერთხანად ორი-სამი ფინჯანი წამალი მოამზადოთ. რომ მთელი დღე ეკმაროს სნეულსა, რასაკვირველია, განაწილებით უნდა ასვათ და არა სულ ერთად. ჭამის დროს ეს წამალი ცივიც შეიძლება მიიღოს და თბილიც, როგორც ჰსურს.

გემო არა აქვს საზიზღი, ხოლო ცოტაოდნად მწარეა. პირველ დღესვეო, ამბობს პროფესორი, სნეულს შარდი ძალიან ემატება და შარდის მატების გამო არავითარს ტკივილს და სხვას რასმეს ამისთანას არას ჰგრძნობს სნეულიო და ბოლოს ხომ სნეულებისაგანაც რჩებაო. (ნ. ვ.)

***

ძალიან კარგი წამალი მოსარჩენად პირუტყვის წყლულისა, დაჭრილობისა და წამხდრობისა არის იოდოფორმი გლიცერინთან ერთად. ერთი წილი რომ იოდოფორმი იყოს, ორი წილი გლიცერინი უნდა. იოდოფორმი და გლიცერინი ყოველს აფთიაქში იშოვება. თუ ვინიცობაა პირუტყვს იარა აქვს, ჯერ ყველაზე უწინარეს ჩირქი უნდა გამოაცალოთ. ჩირქი თავის-თავად ძნელად გამოედინება ხოლმე, მაგალითებრ, როცა ცხენს ზურგი აქვს წამხდარი. ამისთანა შემთხვევაში იარის პირიდამ სკიპიდარი უნდა ჩააწვეთოთ რამდენიმე წვეთი და ის ამოიტანს ჩირქს.

(ს. ხ.)

## დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

18 თებერვალი

**პეტერბურგი.** უმაღლესნი ბრძანებანი: უმართებულესის სენატის პირველ დეპარტამენტის ობერ-პროკურორს თავად ობოლენსკის ებრძანა ვარშავის გენერალ-გუბერნატორის თანაშემწედ ყოფნა; რიაზანის ოლქის სასამართლოს თავმჯდომარის ამხანაგს გურჩინს ებრძანა ირკუტსკის სამოსამართლო პალატის დეპარტამენტის თავმჯდომარედ ყოფნა.

**პარიზი.** 17 თებერვალს ბარონ მორენჰეიმის თანადასწრებით გაიხსნა რუსეთის მხატვრობათა და ქანდაკებათა გამოფენა.

**ბერლინი.** როგორც კანდიიდგან მოსულ ცნობებითა სჩანს, ამ ქალაქისა და ქალაქის ახლო მახლო ადგილების მაჰმადიან მკვიდრთ სიმშილის შიში მოელით. უცხო ქვეყნის გემებმა მაჰმადიანნი გადაარჩინეს გამძვინვარებულ ქრისტიანეთაგან.

**ვენა.** 17 თებერვალს იმპერატორი კაპ-მარტენში წავიდა.

**ათინა.** დიდთა სახელმწიფოთა ელჩები უკვე შეთანხმდნენ ერთმანეთში იმ მიწერილობის შინაარსის შესახებ, რომელიც, განზრახვა აქვთ, საბერძნეთის მთავრობას გაუგზავნონ; ამასთან მისი შინაარსი დეპეშით აცნობეს თავიანთ მთავრობათაც მათ. და დასამტკიცებლად და იმიტომ რომ ამის კვალობაზედვე ეუწყოს ამბავი ოსმალეთსაც. ორი მიწერილობა იქმნება გაგზავნილი, ერთი ოსმალეთს გაეგზავნება, მეორე საბერძნეთს.

**ათინა.** დიდთა სახელმწიფოთა ელჩნი შეიკრიბნენ ინგლისის მისსიის სადგომში და საერთოდ გადაიკითხეს შინაარსი იმ მიწერილობისა, რომელიც უნდა გადაეცეს საბერძნეთის მთავრობას. მიწერილობაში ნათქვამია, რომ დიდმა სახელმწიფოებმა გიდასწყვიტეს კრიტს თვით-მმართველობა მიანიჭონ და თქვენი ფლოტი და ჯარი უკანვე გამოიხმეთო.

**სოფია.** 17 თებერვალს აქ ჩამოვიდა სერბიის მეფე, რომელსაც მთავარი მიეგება. რამდენისამე ხნის შემდეგ მეფე მიესალმა სასახლეში დედოფალს. მცხოვრებნი თანაგრძნობით მიეგებენ მეფეს.

# განცხადებანი

**სვიმონ ზაქარიას ძე ბერძნიშვილი** გულითადის მწუხარებით აუწყებს ნათესავთა და ნაცნობთა გარდაცვალებასა ძვირფასის მეუღლისა თვისისა **პელაგია ზაქარიას ასულის ბერძნიშვილისას** და სთხოვს მობრძანდნენ მიცვალებულის განსვენებაზედ ხუთშაბათს, 20 თებერვალს, დილის 9 საათზედ, ანდრიის ქუჩაზედ, № 52 კუკიის წმ. ნინოს ეკკლესიაში, სადაც გარდახდილ იქმნება წირვა და აეგება მიცვალებულს ანდერძი.

(1—6—1)

### ტფილისის ქალაქის გამგეობისაგან.

ტფილისის ქალაქის გამგეობამ გამოაცხადა რა ამ 18 თებერვალს ამომრჩეველთა სიები ამოსარჩევად ქალაქის საბჭოს ხმოსნებისა, შემდეგის ოთხის წლისათვის 1897—1901, ამით საყოველთაოდ აუწყებს ბ-ნ ამომრჩევლებს, რომ ორის კვირის განმავლობაში გამოცხადების დღიდამ, ესე იგი, 5 მარტამდე 1897 წ. იგი გამგეობა მიიღებს ყოველს საჩივარს ამომრჩევლებისაგან მასზე, თუ იგი სიებში არ სწორედ შეტანილნი არიან, ან არა-სრულად და თუ საჩივარი დაკმაყოფილებულად არ იქნება გადაწყვეტილი გამგეობისაგან, მოჩივარს ნება აქვს გამგეობის გადაწყვეტილებაზე საჩივარი მიართოს ბ-ნს ტფილისის გუბერნატორს შვიდის დღის განმავლობაში მას შემდეგ, როცა გადაწყვეტილება გამგეობისა გამოეცხადება.

ტფილისის ქალაქის გამგეობა ამით საყოველთაოდ აუწყებს, რომ მსურველთ შეუძლიანთ მიიღონ ყოველ-დღე გამგეობის კანცელარიიდან ამომრჩეველთა სიები, შესხვა ხმოსანთა ამორჩევისა ტფილისის ქალაქის საბჭოში დღეების ოთხი წლისათვის 1897—1901 წ.

(3—2)

Дозволено цензурою, Тифлисъ 18-го Февраля 1897 г. სტამბა მ. შარაძისა და ამხანაგობისა. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.